დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

თამარ ჯაფარიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლია ცერცვაძე -ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232579974

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
იურიდიული მისამართი	ქ. კასპი ტაპიძის ქ. N13
ფაქტობრივი მისამართი	ქ. კასპი ტაპიძის ქ. N13
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kaspi1@mes.gov.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577275001

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 23 0000543969; 15.05.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22,23 ივნისი 2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. კასპი, ტაბიძის ქ. 13
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. კასპი. ტაბიძის ქ. 13
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქ. კასპი, ტაბიძის ქ. 13

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს,სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს,სკოლის ბიბლიოთეკარს, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორს, სკოლის ექიმს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს და სხვა პირებს.ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.
ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 750	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	დაწესებულების განმარტებით, მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას შეძლებს ორ ცვლაში სწავლის შემთხვევაში.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები

მეტწილ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ახალი მისიის და ხედვის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.* *სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09.2023 მდე)*
1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვი უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	*სკოლამ განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვოთარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების პროცესში,წარმოაჩინოს სკოლის დანიშნულება -შეუქმნას მოსწავლეს ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09.2023 მდე)*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება.რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იყოს კვლევის სხვადასხვა ინსტრუმენტები.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელ (04.09.2023 მდე)
1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებ მიერ;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, იმგვარად , რომ ,, ჩვენ" განცდის დანერგვა მოხდეს სასკოლო საზოგადოებაში.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმი განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09.2023 მდე).
1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებ საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	დაწესებულებამ უზრუნველყოს საბოლოოდ შეთანხმებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფა მისთვის ხელსაყრელი ყველა საკომუნიკაციო არხით და ფორმით.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (04.09.2023 მდე)
1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებ შემუშავების მეთოდოლოგია, რომელ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებ პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმდო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება. სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (08.09.2023 მდე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1.2	ის პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	დაწესებულებამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, რეკომენდებულია არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, მხედველობაში უნდა იქონიოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომელთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (08.09.2023 მდე)
1.2.1.3 - 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	მნიშვნელოვანია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და ასახოს მასში ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია.სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (08.09.2023 მდე)
1.2.2.1-1.2.2.2	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და	დაწესებულებამ შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების სისტემა,სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (08.09.2023 მდე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების არსებობა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023 მდე).*
3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;*	*ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად რეკომენდებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ათვლის წერტილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს.დაწესებულებამ უზრუნველყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.08.2023)მდე.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.09..2023 მდე). კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (22.05.2024 მდე),კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და სასწავლო რესურსის უზრუნველყოფა.
3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე ინ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (15.09.2023 მდე).კერძოდ, შექმნას ოფიციალური ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებულობას ქართულ ენაზე.
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და ა.შ.	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (15.09.2023 მდე).კერძოდ, ვებ გვერდზე განთავსოს ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, ასევე რაც ინდიკატორით არის გათვალისწინებული.

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	*დაწყებითი საფეხურის პროგრამა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (ბუნებისმეტყველება) კურიკულუმების შემუშავება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15.09.2023მდე).*
2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	*საბაზო საფეხურის პროგრამა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საბაზო საფეხური საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები შემუშავება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში 15.09.2023მდე).*
2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	*საშუალო საფეხურის პროგრამა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საშუალო საფეხური საგნობრივი (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები შემუშავება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში 15.09.2023მდე).*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა.ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია , რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები,ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**
სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის (შემდგომში,, სკოლა''. ,,დაწესებულება '') მისიაა: *<u>სკოლის მისიაა აღზარდოს საფუძვლიანი განათლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი</u>* , რომელიც დეკლარირებულია მოქმედ სასკოლო სასწავლო გეგმაში.დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, მიმდინარეობს სკოლის ახალი მისიის , ხედვის და ღირებულებების შემუშავება , რისთვისაც სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის N 2-90 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მეთოდოლოგიის საფუძველზე განახორციელებს ახალი მისიის და ხედვის შემუშავებას და დანერგვას.**<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(04.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

დაწესებულების განმარტებით, სკოლა ახალი მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესშია, სადაც გათვალისწინებული იქნება სკოლის როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე.**<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(04.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

დაწესებულების განმარტებით სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულებით, რისთვისაც შეიქმნა და ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი შემდეგნაირად განხორციელდება : შედგება სამუშაო ჯგუფი, მომზადდება კითხვარები მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის,ჩატარდება გამოკითხვა, მოხდება მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე სამუშაო ჯგუფები შეიმუშავებენ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტს. მოხდება აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა. პროექტის რევიზია და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა /დამტკიცება.**<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(04.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** დაწესებულებაში ამ ეტაპზე არის მხოლოდ მისია შემუშავებული, რომელიც სკოლის განმარტებით უნდა გადაიხედოს და რომელიც გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.სკოლის თვითშეფასებაზე დაყრდნობით და დირექტორთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე ,კლასის დამრიგებლების მიერ მოხდება მშობლებთან, მოსწავლეებთან ახლად შემუშავებული მისიის , ხედვის და ღირებულებების გაზიარება.**<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(04.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები,</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლის მოქმედი მისია ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, ამასთან სკოლა გეგმავს ახალი სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავებას. **<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(04.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა.შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (06.09.2023);
სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2022-2029);
სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული სკოლის მისიით;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიხედვით, შექმნილია სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების და განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები, სკოლამ წარმოადგინა 2022-2029 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება იგეგმება უახლოეს მომავალში,**<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; წარმოდგნილი სტრატეგიული გეგმის პროექტი არის შვიდწლიანი, ციკლური.სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სკოლის სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და SWOT (ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზს.განხორციელება ოთხი სტრატეგიული მიმართულებით :

1. სკოლაში არსებული მოსახურებების გაუმჯობესება;

2. STEM საგნების და ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ევროპული ენების სწავლება როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალური (კლუბების,წრეების სახით) მიმართულებით.

3. განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

4. სკოლის ორგანიზაციული განვითარება;

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს. რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად/ქვეამოცანებად, სტრატეგიული გეგმის პროექტი ეფუძნება სკოლის ახალი მისის, ხედვის და ღირებულებების პროექტს, რომელიც შემუშავების პროცესშია.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.**

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი საქმომედო გეგმა შემუშავებულია და დამტკიცებულია 2022 წლის სექტემბერში, რომლიც გამომდინარეობს მოქმედი ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, დაწესებულების დირექტროთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რაც კათედრების და მოადგილის წლიურ ანგარიშს ეყრდნობა, სკოლა მომავლაში გეგმავს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლის შესრულების ამოცანები 2023-24წწ სამოქმედო გეგმაში იქნება ასახული.**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს და ამოცანებს, პასუხისმგებელ პირებს და დროშია გაწერილი, თუმცა არ ჩანს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, თუ რით იქნება უზრუნველყოფილი საქმოქმედო გეგმა. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით;
სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების დოკუმენტით;
სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
დაწესებულებაში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმივ მეთოდოლოგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი.სკოლის დირექტორის განმარტებ,ით, მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია შესაბამისად ვიზიტის პერიოდში არ იყო წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმებს. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; დაწესებულების განმარტებით,მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს, ასევე სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას სტრუქტურირებული კითხვარების გზით, ვინაიდან სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია.**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(08.09.2023).აქტივობები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფას სამომავლოდ, ხოლო ამ ეტაპზე შედეგების წარდგენა ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოზე, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. დაწესებულების განმარტებით სამომავლოდ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები დამუშავდება კათედრების მიერ და მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტები აისახება კათედრების სამოქმედო გეგმებში. ასევე, სკოლის დირექცია და სკოლის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს პროექტს, სადაც დეტალურად გაიწერება სკოლის სამომავლო ამოცანები, რომლებიც ძირითად გამოწვევებზე იქნება დაყრდნობილი.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი;
ინტერვიუს შედეგებით;
შესაბამისობის ზუზრუნველყოფის გეგმით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დირექციას, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს. სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია ბრძანებით (სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობების შესახებ) და ჩაშლილია ცალკეულ მუხლებში. დირექცია შედგება - დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. ადმინისტრაცია შედგება - საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, ექიმი და დამლაგებელი. სამეურვეო საბჭოში შემავალი ერთეულებია : დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდაა განსაზღვრული დებულებით. კერძოდ: „სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დებულება“. თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია ორი დოკუმენტით - შრომითი ხელშეკრულებებითა და სკოლის დებულებით. სკოლას აქვს შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს ინკლუზიურ განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების პირობებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ბრძანება N2-216 21.10.2022წ. “სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობების შესახებ“. ასევე წარმოდგენილია საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლა შედგება 59 თანამშრომლისაგან (დირექცია - 3 წევრი, პედაგოგიური პერსონალი - 42 მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი - 3 წევრი, ტექნიკური პერსონალი - 7 წევრი). სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კასპის N1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. **ინდიკატორი დამაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
სკოლის განმარტებით, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ. გარდა ამისა, არსებობს სკოლის შიგნით ხარისხის განვითარების მექანიზმი, რის მიხედვითაც ვასკვნით, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობის დონე სკოლაში მაღალია, მათ შორის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებაც. ისგ-ს შექმნის და მონიტორინგის პროცედურები გაწერილი და **გამჭირვალეა.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის სტრუქტურა;
საშტატო გარიგი.
საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობების შესახებ ბრძანება;
სკოლის დებულება, დებულების დამტკიცების ბრძანება.
ხარისხის ჯგუფის დებულება.
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორიგის წესი, შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცებისა და ჯგუფის შექმნის ბრძანება.
თანამშრომლებსა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსით და სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების დაცვის პოლიტიკით. ახალი კადრების მისაღებად სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესი, ხოლო დასაქმებული პერსონალის სამართავად შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დებულება, რომელიც არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკას. სკოლას არ აქვს ცალკე შუმუშავებული პროფესიული განვითარების დოკუმენტი. ადამიანური რესურსების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი N5 ეხება ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას. აღნიშნულ მუხლში საუბარია, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დაიგეგმება საჭირო ღონისძიებები. ამის ერთ-ერთ დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე დასწრების აღრიცხვის ფორმა. თამანშრომელთა მოტივაციის გაზრდისთვის სკოლა იყენებს წახალისების პრაქტიკას. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პროცედურები. ამის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ბრძანება, მათ შორის ფულადი დანამატი, რომელიც სკოლამ სკოლის თანამშრომელს, კერძოდ დამლაგებელს ჩაურიცხა. ადამიანური რესურსების დაცვის პოლიტიკის იმავე მუხლში საუბარია საჭიროებების დადგენაზე. სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს, მან აღნიშნა, რომ საჭიროებების დადგენა ხდება დაკვირვების შედეგად. მაგალითად, სკოლაში არსებობს მასწავლებლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ასევე დირექტორი თავადაც ხშირად ესწრება გაკვეთილების და ამის მიხედვით ადგენს მასწავლებლის საჭიროებებს.დაწესებულებაში არსებული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას სკოლაში არ არის დაცული თანამშრომელთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.

<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(31.12.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. მისი მოქმედების სფეროა სსიპ - ქალაქ კასპის #1 საჯარო სკოლის მასწავლებლები. დებულების მიზანია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფარგლებში, ხარისხის განვითარების ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

- მასწავლებლის მიერ ხარისხის განვითარების ჯგუფისათვის მიმართვის წესის განსაზღვრა;
- მასწავლებლის მიერ ხარისხის განვითარების ჯგუფისთვის გაკვეთილზე დასასწრებად შესავსები განაცხადის ფორმის შემუშავება.
- გაკვეთილზე დასწრების შედეგების განხილვის წესის განსაზღვრა.

ხარისხის ჯგუფის მუშაობის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დასწრების სქემა, გაკვეთილის რეფლექსიები, დაკვირვების ფორმა და უკუკავშირი.სკოლის განმარტებით, სკოლაში ასევე ხორციელდება თანამშრომლებზე დაკვირვება, რომლის მიზანია პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, მათი ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებების განსაზღვრა. ასეთი დაკვირვება/მონიტორიგი იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს საჭირო ინტერვენცია. კერძოდ, სკოლის განმარტებით, თუ გამოვლიდა, რომ გარკვეული მიმართულებით თანამშრომელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან თვითონ დასაქმებული გამოთქვამს ამის სურვილს, სკოლა უზრუნველყოფს მას პროფესიული განვითარების შესაძლებლობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე დასწრებების განრიგი და დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით, სკოლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ნუსხა.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ემყარება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესით განისაზღვრება კონკურსის ჩატარების პრინციპები, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი , განაცხადების წარდგენის , კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, საპრეტენზიო კომისიის და კონკურსის შედეგების გასაჩივრების საკითხები. სკოლაში მოქმედებს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია (შედგება 5 წევრისაგან). კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს დირექციის ერთი წევრი და საგნობრივი კათედრის წევრი. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. კერძოდ, ბრძანება N2-202, „ სსიპ -ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლაში ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია 2020 წლის 12 ოქტომბერს. ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში სკოლის დირექტორი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით აცხადებს შიდა კონკურსს და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების ვადებს. სკოლის დირექტორი ასევე უფლებამოსილია ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში სკოლის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით გამოცხადოს გარე კონკურსი. დამტკიცებულ წესში დეტალურადაა აღწერილი კონკურსის პირობები, სავალდებულო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ჩამონათვალი, სკოლას დასკვნის სახით წარმოდგენილი აქვს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ვაკანტური საათების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი (ოქმი N2, 07 ნოემბერი, 2022 წელი). წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში სულ დასაქმებულია 55 თანამშრომელი. სკოლის დირექციაში დასაქმებულია სამი მათგანი : სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. სკოლის განმარტებით, პერსონალის (მასწავლებლებისა და თანამშრომლების) კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში სულ დასაქმებულია 42 მასწავლებელი. აქედან - 17 წამყვანი, 23 უფროსი, 1 მოწვეული, 1 მასწავლებლობის მაძიებელი. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა პირადი საქმეებიც. სკოლის საქმისმწარმოებელი ამავდროულად არის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი. მისი საათობრივი დატვირთვა არის 15 აკადემიური საათი, რაც კანონთან შეუსაბამობაშია. სკოლამ წარმოადგინა რესურსცენტრთან გაგზავნილი არგუმენტირებული წერილი, სადაც ასაბუთებს, რომ ვერ მოიძებნა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რაზეც მიიღო რესურსცენტრისგან თანხმობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპების ნიმუშად სკოლა ასახელებს რამდენიმე მაგალითს სასკოლო პრაქტიკიდან: კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების და ჯგუფების მუშაობა კოლეგიურობის პრინციპით. ეს კომისიები და სამუშო ჯგუფები გადაწყვეტილებას იღებენ კენჭისყრით. სკოლაში ფუნქციონირებს მმართველობითი კოლეგიური ორგანო პედსაბჭო. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ როგორც კათედრებს შიგნით, ასევე სხვა კათედრებთან თანამშრომლობის შესახებ. სკოლის მასშტაბით არაერთი საერთო აქტივობა და პროექტი აქვთ განხორციელებული, თუმცა აღნიშნული პრაქტიკის დადასტურებად სკოლამ დოკუმენტაციის გაზიარება ვერ შეძლო. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების **პრინციპი.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის განმარტებით, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების პრაქტიკა. კერძოდ, სკოლა გარკვეული პერიოდულობით ახდენს შიდა საჭიროებების დადგენას, დაკვირვების გზით, ასევე სკოლა პერიოდულად შეისწავლის და იზიარებს სხვა წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას პერსონალის მართვის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 თავი „წახალისების სახეები და გამოყენების წესი“). პირველი მუხლის მიხედვით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხაგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება.
- სიგელით დაჯილდოვება.
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება,
- ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა.

მესამე მუხლით გაწერილია წახალისების გამოყენების წესი, რომლის თანახმადაც წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით და ისახება დასაქმებულის პირად საქმეში. დირექტორის მოადგილე, შესაბამისი საგნობრივი კათედრა, პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს დირექტორს დასაქმებულის წახალისების მოთხოვნით. სკოლაში ვიზიტისას დოკუმენტაციის დათვალიერების დროს დაფიქსირდა მადლობის გამოცახდების შემთხვევები. სკოლას მტკიცებულებების სახით გაზიარებული აქვს დოკუმენტაციები, რითიც დასტურდება მასწავლებელებს შორის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება. მაგალითად, ქართულის და მათემატიკის მასწავლებლების შეხვედრის ანგარიშის ფორმა. შეხვედრის მიზანი იყო კლასის მართვის ძირითადი პრინციპების ურთიერთგაზიარება. შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა გაკვეთილები, რომელთა ჩატარების შემდეგაც უნდა მოხდეს გამოცდილების ურთიერთგაზიარება კლასის მართვის მიმართულებით. ასევე, დაიგეგმა აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების საგაკვეთილო აქტივობებში მაღალ ჩართულობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
კონკურსის ჩატარების წესი.
მასწავლებლების სია სტატუსების მიხედვით.
შრომითი ხელშეკრულები სტატუსების მიხედვით.
სკოლის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა.
კონკურსის მასალები
თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.
სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების დებულება, რომელის ერთ-ერთი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფარგლებში, ხარისხის განვითარების ჯგუფის ფუნქციებისა
და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; დოკუმენტის მიხედვით, ეს ჯგუფი ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს; რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნას და უნარებს; ამოწმებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს. საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით აკეთებს ანალიზს და შეიმუშვებს რეკომენდაციებს. ხარისხის განვითარების ჯგუფის ამოცანებია:

- სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სქემით გათვალისწინებულ საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება;

მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შესრულების პრეზენტაციის, მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტების, შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილისა და სამოდელო გაკვეთილის შეფასება. შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

ა) გაკვეთილზე დაკვირვება და ჩატარებული გაკვეთილის შეფასება (უფროსი მასწავლებლისათვის);
ბ) სამოდელო გაკვეთილის შეფასება (უფროსი/წამყვანი/მენტორი მასწავლებლისათვის);
გ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება უფროსი/წამყვანი მასწავლებლისათვის).

სკოლას არ აქვს დოკუმენტურად დადგენილი მექანიზმი თუ როგორ უნდა დაადგინოს პერსონალის პროფესიული საჭიროებები. სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას დაკვირვების მეშვეობით. სკოლის დირექტორი ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მხოლოდ საგაკვეთილო დაკვირვებით ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა. არ ხდება მათი საჭიროებების კვლევა. კათედრის წევრებთან საუბრით დგინდება, რომ მათ შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად და ესწრებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ნიმუშები. ხარისხის ჯგუფის დასწრებებით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი (ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს), აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა დებულება, რომელიც განსაზღვრავს ხარიხის ჯგუფის საქმიანობას (მუხლი 9 - ხარისხის ჯგუფის საქმიანობა). ამ მუხლის თანახმად, ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დაადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენას, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას და შეფასებას, მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებების ფორმები და რეფლექსიები. დებულების მე-6 მუხლით „ხარისხის განვითარების დებულება“ - სკოლას განსაზღვრული ჰყავს პირი (სკოლის დირექტორი), რომელიც ხელმძღვანელობს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული არ აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მორგებულია პერსონალის განვითარებას არის „ხარისხის განვითარების დებულება“, რომელშიც საუბარია მხოლოდ პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე. ამას გარდა, სკოლას არ აქვს დადგენილი წესი, რის მიხედვითაც ახორციელებს პერსონალის საჭიროებების დადგენას. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მხოლოდ დაკვირვების შედეგად დგინდება თანამშრომელთა საჭიროებები. გარდა ამისა ისინი თავად მიმართავენ დირექტორს თხოვნით რაიმე საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება დასტურდება სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა რეგისტრაცია სხვადასხვა ტრენინგებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში.ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება. კათედრის წევრები არიან ძალიან თანამშრომლობითი და კოლეგიალური საზოგადოება და ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არასდროს არ გასჭირვებია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება თანამშრომელთა ინიციატივების წახალისება. მასწავლებლებთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მათი ინიციატივა ძალიან სასიხარულოა და დირექცია ყველანაირად ცდილობს მათ მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს იგივე აღნიშნეს პედაგოგებმა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის გნვითარების დებულება;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები;

ურთიერთდასწრების მასალები;

ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლის დირექტორის ინტერვიუს შედეგებით დადგინდა რომ სკოლაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა და მისი შემუშავება, შესაბამისად სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ ,რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს და რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენისათვის. **<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(25.08.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის მე-19 თავში „მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი“. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, ასევე მოსწავლის მედიაციის წესი. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას. მე-25 მუხლი ადგენს შრომითი დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებს. მე-4 თავი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. აღნიშული წესის I თავი („ზოგადი დებულებები“) განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, ბრძანებების მომზადებას და გაფორმებას, სხვადასხვა დოკუმეტებზე (წერილი, ოქმი, ცნობა) მუშაობის წესებს. კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესს (მე-10 მუხლი), დოკუმენტის ასლის გაცემის და დამოწმების წესს (მე-12-13 მუხლები). II თავი „სარეგისტრაციო ჟურნალები და კორესპოდენციიის აღრიცხვის და გაცემის წესი“ არეგულირებს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს, მოსწავლეთა ბრძანებებს, საერთო ბრძანებებს, ბრძნებების გამოცემის და აღრიცხვის წესს, კონვერტების დამუშავების წესს და **ა.შ.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას აქვს საჩივრების განხილვის სისტემა - რეგულირდება შინაგანაწესის მე-22 თავი (განცხადების/საჩივრის განხილვა). სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი. დირექტორის მიერ საჩივრის განხილვა ხდება 1 თვის ვადაში. ინფორმაცია მოსწავლეებს/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადას და ადგილს. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. წარმოდგენილი მასალები და მტკიცებულებები **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურვადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირების წესი - ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი ბავშვთა უფლებების დასაცავად პროცედურები და სკოლის როლი ამ პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

სკოლაში გაფორმებული ხელშეკრულებები;

რეფერირების წესი;

სკოლის წესდება;

დისციპლინური კომიტეტის არჩევის სხდომის ოქმი.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის განმარტებით, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლის წევრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დოკუმენტაცია, რომელითაც რეგულირდება მშობელთა ჩართულობა. სკოლა განმარტავს, რომ მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის დამრიგებლები ძირითადად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ასევე, ხშირია სატელეფონო კომუნიკაცია საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. გამოცემულ ბრძანებებს საქმისმწარმოებელი აცნობს დაინტერესებულ პირებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმები(თვითმმართველობა, პედ. საბჭო);

მშობელთა კრების ოქმები;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და ფუნქციური პასუხისმგებლობის გადანაწილებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა. სამივე სართულზე განთავსებულია სახანძრო ინვენტარის სტენდები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ, სკოლაში დასაქმებულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.სკოლას *შემუშავებული არ აქვს საგანგებო* სიტუაციების მართვის გეგმა, ხოლო შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით , ვიზიტის პერიოდში კორსპონდენციით მიმართა შესაბამის უწყებას. განსაზღრულია სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის კონტროლის მექანიზმები. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ამასთან აღნიშნული წესის გათვალისწინებით, სკოლაში სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლობს 500დან 800 მოსწავლემდე, სავალდებულია ექიმთან ერთად ექთნის დასაქმება.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა შესაბამისი განაცხადი გაკეთებული ექთნის შტატის დამატებაზე.

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული. სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას დაიცვას სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება, მათ შორის განახორციელოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენა; **<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(30.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' აღნიშნული წესის შესაბამისად სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ათანხმებს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის სისტემა. სკოლას აქვს პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მექანიზმი. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები. სკოლის თანამშრომლები ყურადღებით აკვირდებიან ბავშვთა საჭიროებებს. სკოლის თითოეული თანამშრომელი ინფორმირებულია ძალადობის ნიშნების ამოცნობის გზებზე და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ისინი ასაკის შესაბამისად მუშაობენ შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საჭიროების მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შესაბამისად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4**. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი , რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, ბიომეტრიულ ინფორმაციას და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიურ გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი.

სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. მესამე პირების მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანებაში „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიურ გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი“ დამტკიცებულია სკოლის საქმეთამმართველი. მას აქვს წვდომა მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე , სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროცესების უსაფრთხოების დადგენის მიზნით მოხდება პერიოდული შეფასება კითხვარებით, სკოლის მიერ გამოყენებული იქნეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.ამის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექიმის ხელშეკრულება;
საქმისწარმოების წესი;
ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია:ქალაქი კასპი, კოსტავას ქ. N13

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 67.01.34.483
მიწის დაზუსტებული ფართობია:5395.00 კვ. მ
შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: 8212,98 კვ. მ
სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით.
სკოლის შენობა ერთი ძირითადი კორპუსისგან (სამი სართული) შედგება.
ძირითადი შენობის **პირველ სართულზე** განთავსებულია- მანდატურის, დარაჯის, ექიმის, მცირე დარბაზი ,9 საკლასო ოთახი და კაბინეტები. 4 სველი წერტილები,მათ შორის ორი შშმ პირებისთვის ადაპტირებული. დამხმარე ფართი სამეურნეო საქონლის მარაგებისთვის.
მეორე სართულზე- 10 საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი,ბიბლიოთეკა,სველი წერტილები, სამასწავლებლო , რესურს ოთახი,კომპიუტერული კლასია განთავსებული;
მესამე სართულზე-9 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სვველი წეტილები და დამხმარე სათავსებია.
სკოლა ერთ ცვლაში ახორციელებს სწავლებას, ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, დაფებით, კარადებით, დამხმარე ინვენტარით,ინვენტარი ვიზუალურად სუფთა და მოწესრიგებულია. სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დასრულდა 2020 წელს. სკოლამ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ბრძანება სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ (ბრძ. N233-ს;21.01.2022), აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკი სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სარგებლობის წესის თანახმად, სკოლის ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი ხელს შეუწყობს სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას.სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, შესაბამისად, სწავლის შედეგების უზრუნველყოფისთვის არ არის შესაბამისი სივრცე ორგანიზებული.**დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(22.05.2024).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა , რომ სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ჰქონდეს კომფორტული სასწავლო გარემო და იყოს უზრუნველყოფილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობით. სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, სართულებზე გადაადგილების დროს შეუძლია ისარგებლოს ლიფტით.

სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს შშმ პირთა ინტერესები. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სართულებზე გადასაადგილებლად, კი სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებდა, რადგან სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე. . მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც მეტ-ნაკლებად გამწვანებულია. სკოლას არ აქვს გარე მოედანი. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები, რომელსაც სკოლის დირექტორის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის ხარისხიანად განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საევაკუაციო გეგმა;
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
ვიზუალური დათვალიერებით;
შესაბამისობის გეგმით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სულ სკოლაში არის 84 კომპიუტერი; 6 - პრინტერი; 5 - პროექტორი; 42 კომპიუტერი არის მუშა მდგომარეობაში(26-მოსწავლეებისთვის კომპიუტერულ ლაბორატორიაში; 6 - მასწავლებლებისთვის სამასწავლებლოში; 1-ბიბლითეკაში მასწავლებლებისთვის და
მოსწავლეებისთვის; 8 - ადმინისტრაციისთვის;) სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც ამავდროულად ასწავლის ინფორმაციულ და საკომონუკაციო ტექნოლოგიების საგანს. იგი საჭიროებისამებრ ეხმარებასკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ არ მუშაობს გამართულად და საგაკვეთილო დროს დიდი დრო მიაქვს კომპიუტერის ჩართვას და ინტერნეტში მუშაობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2**. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. მოსწავლეებს შეუძლიათ სამუშაო დრეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) 14.00- 17.00 სთ - ში ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცით. ასევ საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ უქმე დღეებში სამუშაო სივრცით სარგებლობა ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეზე პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი ; სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 688 მოსწავლიდან 150 მოსწავლეს არ აქვს სახლში კომპიუტერი და ჭირდება საზიარო სამუშაო სივრცის გამოყენება. მოსწავლეებს შეუძლიათ სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) 14.00- 17.00 სთ - ში ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ციფრული განვითარების გეგმა;
ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმეთამმართველი. ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა.
დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას:
ა) შემოსული დოკუმენტაცია;
ბ) გასული დოკუმენტაცია;
გ) შიდა დოკუმენტაცია.
შემოსულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან, ორგანიზაციებიდან (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), დაწესებულებებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, უცხო სახელმწიფოებიდან, განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტების სახით; ასევე ფიზიკური პირების წერილები, საჩივრები, განცხადებები. გასულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც გადის სკოლიდან განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტებისა და ცნობების სახით. სკოლის შიდა დოკუმენტაცია წარმოადგენს სკოლის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შექმნილ სხვადასხვა ტიპის აქტებს - ბრძანებებს, წერილებსა და შრომით ხელშეკრულებებს. დირექტორის გადაწყვეტილებები გამოიცემა ბრძანების სახით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ბრძანებები ინომრება კალენდარული წლის განმავლობაში, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**
სკოლას იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის **მეშვეობით.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება Eflow სისტემაში შერჩევითი პრინციპით გაგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საქმისწარმოების წესი;
ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
ვიზუალური დათვალიერებით;
ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წერილობით მიმართა მართვის საინფორმაციო სისტემას, ვებ- გვერდის შექმნის მიზნით.სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100063542047905 სადაც თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა შემუშავებული არ აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა და სკოლის დირექტორმა განაცხადეს, რომ მსობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. ამ დღეს მოდიან მშობლები და სურვილის და საჭიროების მიხედვით ესაუბრებიან მასწავლებლებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში მიმართა კორესპონდენციით სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემას ვებ-გვერდის შექმნის მხარდაჭერისთვის. **<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(15.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული არ აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვ. **<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(15.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწესებულების სოციალური ქსელი;
ინტერვიუს შედეგებით;
დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპონდენციით მართვის საინფორმაციო სისტემაში;
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი.

სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

1. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით,სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს;

სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი შემუშავება სკოლის დირექტორის განმარტებით გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს : მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. იმის დასტურად, რომ სკოლა აღნიშნულ პრაქტიკას იყენებს, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წახალისების მტკიცებულებები. მათ შორის, სკოლის დამლაგებელს წახალისების მიზნით, ერთჯერადად დაერიცხა ფულადი დანამატი, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მოსწავლეს გამოეცხადა მადლობა.მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები რეგულირებულიაა სასკოლო სასწავლო გეგმით.შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები. მარეგულირებელ დოკუმენტებში არ იკითხება მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესები და პირობები, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები. თუმცა მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის შეჩერებას/აღდგენას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

1.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2 სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სსიპ კასპის N1 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.ამასთან, მოსწავლის საფეხურის დაძლევის საკითხები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად იყენებს ალტერნატიულ საშუალებებს ინფორმაციის გაზიარებისთვის. მაგალითად, სოციალურ ქსელებში კლასებს აქვთ ჯგუფები. ასევე სკოლაში საინფორმაციო დაფაზე გამოკრული აქვს სკოლის შინაგანაწესი. სკოლის შენობაში, საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია ასაკის შესაბამისი აქტივობები და სწავლის დასაწყისში ხორციელდება მშობლის ინფორმირება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელი სახელდება ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია/

დასტურდება (მტკიცებულებები):

მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
შინაგანაწესი;
საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;
მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**
სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლას ცალკე დოკუმენტაციად შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია ასევე სსსმ მოსწავლეებისთვისაც. მექანიზმში ყურადღება ეთმობა მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან სწავლის დაწყებამდე. სკოლის მიერ გადმოგზავნილ მოსწავლის ტრანზიციის გეგმაში თარიღების მიხედვით გაწერილია აქტივობები და თარიღები. აღნიშნულ დოკუმენტში საუბარი არაა სკოლაში გადმოსვლის შემდეგ რა აქტივობები იგეგმება და კონკრეტულად რა ნაბიჯები ხორციელდება.
სადამრიგებლო პროგრამის რეფლექსიაში ცალკე გამოყოფილად საუბარი არ არის ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმებზე. კლასის დამრიგებლებთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობებს ატარებენ ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**
ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში მობილობით შემომატებულ მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა სპორტულ თუ ინტელექტუალურ აქტივობებში, რაც მათ ადაპტაციას აადვილებს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეებს აცნობს ცხრილს, სკოლაში და კონკრეტულ კლასში დამკვიდრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლას გაწერილი არ აქვს დოკუმენტი მოსწავლეთა კონსულტაციასა და მხარდაჭერისთვის. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას, მან აღნიშნა რომ საგნის მასწავლებლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5**. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლას არ აქვს გაწერილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება არაფორმალური აქტივობები. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაშ ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. დირექტორთან გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა არ გამოთქვამს ინიციატივებს და ეს მათი გასაუმჯობესებელი მხარეა.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კვლევები, რომლებიც ჩატარებული აქვს საჭიროებების დასადგენად. მაგალითად, ვაჟი მოსწავლეების დემოტივაციის მიზეზებზე მუსიკის გაკვეთილზე. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის საკითხები, რაც იწვევდა მოსწავლეთა დემოტივაციას. ძირითადი მიზეზი იყომ „მუსიკის შესწავლა გოგოების საქმეა“. ამის შემდეგ მასწავლებელმა დაგეგმა აქტივობები, მათ შორის მოიწვია ანსამბლის წევრი მამაკაცები, გაახსენა მსოფლიო დონის მამაკაცი მუსიკოსები და ა.შ. კვლევის შედეგების მიხედვით, ვაჟი მოსწავლეების მოტივაცია საგრძნობლად გაიზარდა მუსიკის გაკვეთილზე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

ინტერვიურება მასწავლებლებთან, დირექციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
სადამრიგებლო პროგრამები;
სკოლის მიერ ჩატარებული კვლევები;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1 კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**
პროფესიული ორიენტაცია სკოლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, ააიპ კასპის კოლეჯ იკაროსთან და კასპის კოლეჯს შორის. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდულის მიზანია საერთო ღონისძიებების დაგეგმვას, რომელიც მორგებული იქნება კასპის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების ინტერესებს. კოლეჯ იკაროსთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ მიიღონ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. მემორანდუმის თანახმად, კოლეჯი ეხმარება მოსწავლეებს პროფესიული უნარების განვითარებაში. კასპის კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის მიზანიც არის მოსწავლეების ჩართვა პრაქტიკული მოდულის შედეგების განხორციელებისას. სკოლის დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ არაერთი სკოლის მოსწავლე დაინტერესდა სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით და გააგრძელა კიდევაც კოლეჯში სწავლა. გარდა ამისა დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროფესიის მშობლებს იწვევენ სკოლაში და ისინი მოსწავლეებს თავიანთ პროფესიაზე ესაუბრებიან.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2**. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**
სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, ასევე ხორციელდება შეხვედრები პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავისი სერვისების შესახებ ინფორმაციას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით კითხვები არ იყო დაფიქსირებული, მხოლოდ ერთი კვლევა იყო წარმოდგენილი სადაც, ბავშვებს და მშობლებს ეკითხებიან მეწარმეობის შესწავლის თაობაზე. თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებეს მოერგენ შესაძლებლობების ფარგლებში.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პროფესიულ კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმები;
მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგები;
ინტერვიუირება მასწავლებლების, დირექციასთან;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კონცეფციაში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

- Ø ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- Ø ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- Ø ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მექანიზმი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.); სკოლაში არის 12 სსსმ მოსწავლე. თითოეულ მათგანზე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი (ისგ ჯგუფის ფუნქციები; მონიტორინგის პროცესი.);ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების 12 (თორმეტი) მოსწავლე ირიცხება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჯგუფის შექმნის და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანებები. ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.სკოლის მიერ შექმნილ ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. აქვს კონკრეტულ სსსმ მოსწავლეზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის გამოცდილება.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2022-2023 სასწავლო წლისთვის შედგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
სკოლის შიდა მონიტორინგის მექანიზმები;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
ტრანზიციის გეგმა;
ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;
სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებით;
ინტერვიუს შედეგებით;
ვიზუალური დათვალიერებით.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
სკოლას არ აქვს დამატებითი არასალავდებულო ხასიათის მომსახურებები. მათ არ აქვთ გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვ.ხოლო ტრასპორტით უზრუნველყოფა ხორციელდება განათლების სამინისტროს ქვეპროგრამის ფარგლებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. სსიპ ქალაქ კასპის N1 საჯარო სკოლა არ ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს გახანგძლივებული სწავლების დამატებას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა არ ხორცილედება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.ამ ეტაპზე სკოლ არ ახორციელებს დამატებით მომსახურებას. ინდიკატორი დამაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინტერვიუს შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგის პროექტი ,რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებელობებს და პრიორიტეტებს.სკოლას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. მათზე დაფუძნებით განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საუკეთესო გზაა, რადგანაც ითვალისწინებს ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, და ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას. კათედრების მიერ დაწყებითი საფეხურზე 1-6 კლასის საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმი, სადაც თითოეულ სვეტში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას . აღნიშნულ ჩარჩოებში შუალედური მიზნების მისაღწევად პრიორიტეტად არჩეულია კომპლექსური დავალებები, სტანდარტით გათვალისწინებული თემები რაც მოსწავლემ საფეხურის ბოლოს უნდა შეძლოს და ასევე ყველა თემაში მოახერხოს სამიზნე ცნებებზე გასვლა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესძლებლობების გათვალისწინებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

დაწყებითი საფეხურის,სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ესთეტიკის,ფიზიკური აღზრდის,საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხოენების (შემდგომში **„საგნობრივი ჯგუფები''**) სასწავლო პროგრამების კურიკულუმები(შემდგომში **„საგნობრივი კურიკულუმები**'') ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, რომლის საჭიროებები გამოვლენილია კათედრებზე გაანალიზებული დაკვირვების შედეგებისა SWOT ანალიზების საფუძველზე.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , მაგალითად, სადამრიგებლო პროგრამებსა და განხორციელებულ აქტივობებში ჩანს დამრიგებლები როგორ ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს მოსწავლეთა ჩართულობით და სხვადასხვა საგნის თემების ურთიერთადაკავშირებით, წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები,რომლებშიც იკითხება მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ საგნობრივ კათედრებზე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ მოხდა კურიკულუმის შეთანხმება და დამტკიცება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას . ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების , მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა ისაუბრეს თუ რის მიხედვით ასახეს კურიკულუმში მოსწავლეების ინტერესები, აღნიშნეს რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეებთან კომუნიკაცია , იყენებენ ინტერესთა კითხვარს, სადაც მოსწავლეები აფიქსირებენ თუ რა მოსწონთ , რა ინტერესები აქვთ და ა.შ , საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას ყოველდღიურად ხდება მოსწავლეებისაგან უკუკავშირის მიღება.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების , სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭოს შეხვედრებზე, სკოლის დამრიგბლების, საგნობრივი მასწავლებლების მშობლებთან შეხვედრებზე.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ამ ეტაპისთვის სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათი , სადაც ხდება ინფორმაციის გავრცელება, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შესაბამისობის გეგმიდან ჩანს , რომ სამომავლოდ სკოლა აპირებს შექმნას ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც მოხდება კურიკულუმის გაზიარება. სკოლას გააზრებული აქვს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით როგორ მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ კასპის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი;

საგნობრივი კურიკულუმები;

საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მიუხედავად იმისა,რომ კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში ყველგან არ არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის შედეგები,სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით,რაც ასევე დადასტურდა წარმოდგენილი ერთ-ერთი პროექტის ამსახველი მასალით.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესი რომ ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით.ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ისგ მონიტორინგის ჯგუფი,გაწერილია სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია დასკვნები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ახდენენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სსსმ მოსწავლეების სწავლებას. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ასევე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას (დიფერენცირებულ მიდგომას) და თითოეულ მოსწავლეს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი “სასკოლო სასწავლო გეგმის” მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებებისთვის, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირის გაცემა ძირითადად სიტყვიერად გაიცემოდა. მასწავლებელს აქვს მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების, რომელის შემუშავებაში ასევე ჩართული იქნება მოსწავლეებიც.
ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგებისა და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს.

ინდიკატორი,<u>შესაბამისობაშია</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ყველა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები);
ინტერვიუს შედეგებით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;** კათედრების მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედური მიზნები განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების (კათედრის ოქმი, სასკოლო პროექტები) ანალიზის თანახმად, ლოგიკურად იკვეთება მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. მიუთითებენ, რომ ამისთვის დაწყებით საფეხურზე გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.ინდიკატორი შესაბამისობაშია **.**
2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;** შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები.

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;** შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);** სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ხდება ინფორმაციის გაცნობა მასალის დამუშავება არამარტო საგნობრივი საკითხებიდან გამომდინარე, არამედ სხვა წყაროებიდან, რომლებიც სასწავლო რესურსებშია ჩაშლილი და დეკლარატიულ ცოდნაზეა ორიენტირებული. სწავლის სტრატეგიების შესახებ მიღებული ცოდნა მოსწავლეს პროცედურულ ცოდნას აძლევს, ხოლო ნასწავლის მოქმედებაში გადატანა პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი კიდევ მეტად ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მასწავლებელს ვურჩევდი კურიკულუმებში პროექტის სახით დაემატებია თემები, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზე კიდევ მეტად იქნებოდა ორიენტირებული. ინიკატორი შესაბამისობაშია

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები ხელს შეუწყობს მოსწავლეს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები);
ინტერვიუს შედეგებით.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. განსაკუთრებით, V-VI კლასის შემთხვევაში.

აღსანიშნავია რომ დაწყებითი საფეხურის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში იკვეთება რიგი შეუსაბამობა კერძოდ:სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ,

ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) მესამე საკითხთან სამიზნე ცნების „სივრცეში ორიენტირება“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მეოთხე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო), მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

II თემის (მზის სისტემა) მეოთხე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო), ამავდროულად ამ სამიზნე ცნებასთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (დედამიწა) მეოთხე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო), მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (კოსმოსი) მეორე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), მეხუთე საკითხთან სამიზნე ცნების „გეოგრაფიული ობიექტი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

II თემის(ეკოსისტემების) პირველ საკითხთან სამიზნე ცნებასთან „სხეული“ შესაბამისი ქვეცნებები განსაზღვრულია არასწორად, ისინი მიეკუთვნება სამიზნე ცნების „ორგანიზმი“ ქვეცნებებს, მეოთხე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო) მეორე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), მეოთხე საკითხთან სამიზნე ცნების „გეოგრაფიული ობიექტი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მეხუთე საკითხთან სამიზნე ცნების „ორგანიზმი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) პირველ საკითხთან სამიზნე ცნებასთან „სხეული“ წერია ქვეცნება, შემდეგ ზოგადი ქვეცნება, შემდეგ კი - კერძო ქვეცნება, სრულიად გაუგებარია, მეორე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), ამავდროულად, ამ სამიზნე ცნების ქვეშ წერია ქვეცნება, შემდეგ ზოგადი ქვეცნება, შემდეგ კი - კერძო ქვეცნება, სრულიად გაუგებარია, მესამე საკითხთან სამიზნე ცნების „გეოგრაფიული ობიექტი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ~~გზები~~ მეორე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), ამავე სამიზნე ცნების დაწერილი ქვეცნებაც დასაზუსტებელია, მესამეე საკითხთან სამიზნე ცნების „გეოგრაფიული ობიექტი“ გაწერილი ქვეცნებაც დასაზუსტებელია, მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ოთხ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის

III თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა) მეხუთე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი), მხოლოდ პირველ საკითხან არის მითითებული სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, დანარჩენ ხუთ საკითხთან სასწავლო რესურსები მითითებული არ არის (რესურსში N12 არ არის მითითებული, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით გეგმავენ 2023 – 2024 წლის სასწავლო პროცესს, სკოლას არ მოუწოდებია შესაბამისობის გეგმა და მოწოდებულ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული ძირითადი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეს)

რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოადგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების **I და II კლასების** კურიკულუმის ჩარჩოებს, ისინი გაწერილია არასრულყოფილად, ვინაიდან აღნიშნულ კლასებში არ არის სახელმძღვანელო, გრიფირებული სახელმძღვანელო პედაგოგებს ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში და 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გახდიან სრულყოფილს.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(15.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.</u>

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ *I -IV* კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. <u>შესაბამისობაშია</u>

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, და რადგან ის ანალიზური ხასიათისაა, წარმოადგენს ე.წ. რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. შეფასების კრიტერიუმებს მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან; რუბრიკებიდან გამომდინარე შეფასება იქნება მკაფიო, არაორაზროვანი. ამავე დროს, მასწავლებლები ხედავენ საჭიროებას, უფრო ხშირად მოახდინონ განმავითარებელი შეფასება ვიდრე განმსაზღვრელი. <u>შესაბამისობაშია</u>

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. თუმცა, სკოლას სჭირდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და როგორც თავად აღნიშნავენ, სამომავლოდ გეგმავენ შეფასების სისტემის ვერაფიკაციის მდგრადი მექანიზმის შექმნას.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის საგნობრივი კათედრების მიერ 2023-2024 წელს იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, ასევე განმავითარებელი უკუკავშირის კომპონენტის გაძლიერება,აუცილებლად მიზანშეწონილად მიაჩნიათ არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის გაძლიერება.ყოველივე ამის გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისობაშია.

3...**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

საგნობრივი კურიკულუმებით;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**
მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას. სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტის დოკუმენტში, ზოგადად აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციური განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა შედეგების ანალიზს ამ მიმართულებით გამოიყენებს. ასევევ გასაუბრებიდან დადგინდა, რომ პედაგოგები ხედავენ ურთიერთდასწრებების და ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ეხმარება მათ საკუთარ პრაქტიკას დააკვირდნენ, გაანალიზონ და გაითვალისწინონ სამომავლოდ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმებით;
კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგისს პროექტით;
კათედრის სხდომის ოქმებით;
ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების ზოგადი აღწერა, გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ,რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, გეგმავენ, რომ ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, სათანადოდ გამოიყენებენ სამომავლოდ, შეფასებისას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება.ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3..**შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

შეფასებისას სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს; ესენია კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ასევე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მცირე კვლევის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული ინფორმაციის მოსაპოვებლად. რაც შეეეხება მოსწავლეთა სწავლის პროცესის შეფასებას, მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებს მიემართება. დიაგნოსტიკურ შეფასებას განახორციელებენ მომავალ სასწავლო წელს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უპირატესობას ანიჭებენ ჰოლისტურ მიდგომას, და ითვალისწინებებენ იმ ფაქტორებს, რომ აუცილებელია დიფერნცირებული მიდგომა, რადგან მოხდეს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, ამისთვის კი უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი შეფასების ინსტურმენტის შექმნა, რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. მათი მზაობიდან გამომდინარე, სკოლის მიერ მოწოდებული სხვადასხვა საგნის შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომა. რაც დიდ გავლენას მოახდენს მოსწავლის თვითშეფასებაზე და შედეგზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმებით;
შეფასების რუბრიკებით;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**
სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მასწავლებლები მუდიმავად ახდენენ კურიკულუმის განვითარებას სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი ამ ეტაპზე არ აქვს სკოლას სასკოლო ცხოვრებაში დანერგილი და სამომავლოდ აპირებს ამის განხორციელებას. გამოთქვამს მზაობას, რომ მონიტორინგს და მის ანალიზს მეტი ადგილი დაეთმოს სასკოლო ცხოვრებაში. ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პედაგოგები ახდენენ საკუთარი საქმიანობის ანალიზს, გამოცდილების გაზიარებას, ახდენენ მუშაობის შედეგების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამუჯობესებას. თუმცა, კათედრა ხედავს სამომავლოდ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**
კურიკულუმის განახლებულ ვერსიას სკოლა ქმნის განვლილი პრაქტიკის შეფასების ანალიზზე დაყრდნობით, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მასწავლებლები გეგმავენ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების მეტად სრულყოფას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საგნობრივი კურიკულუმებით;
ინტერვიუს შედეგებით.
შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **((ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1კურიკულუმის შემუშავე ბის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში მკაფიოდ იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი, სწორედ მასთან თანამშრომლობით ხდება აქტივობებისა და დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობაც საკმაოდ გამოხატულია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება, კიდევ უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტ-ნაკლებად გამოკვეთა, ვინ რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე.დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა კურიკულუმუს შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი. რომელიც სკოლის განმარტებით დამტკიცდება უახლოეს პრიოდში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**
სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგბთან გასაუბრების გათვალისწინებით, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**
სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. წარმოდგენილ საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზანები ნიმუშის სახით, რომ პირველადი ავტორიზაციის განაცხადის მომენტში კათედრას ეჩვენებინა თავისი მზაობა, რამდენიმე მასწავლებელმა საუბრისას აღწერა განხორციელებული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ეტაპები და დანარჩენებმაც გამოხატეს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავებენ მსგავსი მეთოდოლოგიით შერჩეული შუალედური მიზნებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4..**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ იფნორმაცია სასკოლო კურიკულუმის, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ, თუმცა, სასკოლო კურიკულუმი ჯერჯერობით ვერ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივ, შემოქმედებით პროდუქტს, მაგრამ მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიურ ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.1.2.**კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელოდებიან მე-11 კლასის სახელმძღვანელოს, ამიტომაც ამ კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ იყო წარმოდგენილი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2..**კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3..**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულდ მისი საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ ყოველთვის ხდებოდა მოსწავლისთვის საინტერესო, მისი უნარებიდან გამომდინარე სასწავლო რესურსებისა და მასალის მიწოდება, რაც თავისთავად მოსწავლის აქტიურობას და ჩართულობას განაპირობებდა. კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს კიდევ მეტად მიცემს საშუალებას ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავების საპროცესში სხვადასხვა აქტივობებით მოახდინონ ჩართვა .
ინდიკატორი შესაბამისობაშია

4.**განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სსგ - ის მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების წარმოების რუბრიკა, რაც ზოგად წარმოდგენას ქმნის, სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ტიპის წარმოების წესზე. წარმოდგენილია სხვადასხვა საგანში შეფასების ის ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და ანალიზი. წარმოდგენილი აქვთ ორივე უცხოურ ენაში კომპლექსური დავალებისთვის ისეთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმებიც შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს მიემართება. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული. თუ აქამდე უფრო აქცენტს აკეთებდნენ განმსაზღვრელ შეფასებაზე, ხედავენ საჭიროებას, რომ მეტად მიმართონ განმავითარებელ შეფასებას სასწავლო პროცესში.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმებით;

ინტერვიუს შედგებით.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**
პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ პედაგოგების მიერ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპით ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. კომპლექსურ დავალებეამდე მისასვლელი აქტივობები ამ გზას ასახავენ..ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

2023-24 წლის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში კომპლექსური ტიპის დავალებები მიმართულია იმისკენ , რომ თითუეულმა მოსწავლემ სწავლის სწავლა ისწავლოს. ამისათვის მათ შეთავაზებული აქვთ პრობლემაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები, როლური თამაშები ამ სტრატეგიების გამოყენება მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს.

მოსწავლის მიერ სწავლის პროცესის გააზრებას ხელს უწყობს მასწავლებლების მიერ შეთავაზებული თვითშეფასების ფორმების გამოყენება, ასევე კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენისას , სადაც მოსწავლე საუბრობს რა სტატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა ახლიდან რომ იწყებდეს დავალებაზე მუშაობას . კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მათი მხრიდან აღინიშნა , რომ ახალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეიმუშონ მოსწავლეთა თვითშეფასების/ რეფლექსიისა და ურთიერთშეფასების ახალი ეფექტური კრიტერიუმები, რაც თავის მხრივ უფრო მეტად იქნება სწავლის სწავლაზე ორიენტირებული.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მასწავლებლების მიერ შედგენილ და განხორციელებულ კომპლექსური ტიპის დავალებებში, შეფასების რუბრიკებში თუ პროექტებში ჩანს , რომ სასწავლო პროცესი მიმართულია დეკლარატიული , პროცედურული და პირობისეული ცოდნისაკენ. მასწავლებელთა მიერ დაგეგმილი აქტივობები ისეა გაწერილი,რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის მიღებასთან ერთად სხვადასხვა უნარების განვითარება , რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკულად მიღებული ცოდნა მოსწავლემ ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაიტანოს/ გამოიყენოს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში სამომავლო გეგმებში მასწავლებლებმა დაასახელეს , რომ გეგმავენ სასწავლო პროცესშო ცხოვრებისეული მაგალითების/კონტექსტების გამოყენებით უფრო მეტად შეუწყონ ხელი ცოდნის პირობისეულ, რეალურ გამოყენებას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5.**სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრის მოსწავლეებთან გასაუბრების დროს იკვეთება, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული თემატური კომპლექსური დავალებები, ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტების განხორციელება, გვაძლევს საშუალებას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების *მტკიცებულებები.*
საგნობრივი კურიკულუმებით;
საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით;
ინტერვიუს შედეგებით;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1...**სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**
მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საშუალო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-

სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა) X კლასის კურიკულუმის ჩარჩო , რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი ხარვეზები, რომლებიიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ,

ქიმიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები) პირველ საკითხთან არის მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე და ამავდროულად, არცერთი რესურსი არ არის მითითებული „მაგალითები შედარებისთვის“, მეორე საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე და აქვე, არცერთი რესურსი არ არის მითითებული მაგალითები შედარებისთვის, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თითოეულ მათგანთან რესურსები, მეორე საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე და აქვე, რესურსში N2 წერია - მულტი - მედია რესურსები (მოძიებული თავად მოსწავლეების მიერ), აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ამ რესურსისთვის ელექტრონული მისამართი და არ უნდა ეწეროს - (მოძიებული თავად მოსწავლეების მიერ)

II თემის (ქიმიური კინეტიკა) პირველ საკითხთან არის მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე და ამავდროულად, არცერთი რესურსი არ არის მითითებული „მაგალითები შედარებისთვის“, მეორე საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე ~~და აქვე~~ წასაშლელია

ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ელექტროსტატიკა) პირველ საკითხთან არის მითითებული სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე, მეორე საკითხთან სამიზნე ცნების მატერია განსაზღვრულია მხოლოდ ზოგადი ქვეცნება - ველი და არ არის მითითებული კერძო ქვეცნება (ამ დროს სავალდებულო იყო კერძო და არა ზოგადი ქვეცნების მითითება კურიკულუმის ჩარჩოში), სამიზნე ცნებად მითითებულია ფიზიკური პროცესები და უნდა ეწეროს ფიზიკური პროცესი, აქვე არის მითითებული სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე

II თემის (მუდმივი დენის კანონები) პირველ საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსად - ელექტრონული რესურსები: ვიდეო გაკვეთილი მოძრაობის ფარდობითობა, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ამ რესურსისთვის ელექტრონული მისამართი, ასევე სამიზნე ცნებად მითითებულია ფიზიკური პროცესები და უნდა ეწეროს ფიზიკური პროცესი, მეორე საკითხთან სამიზნე ცნებად მითითებულია ფიზიკური პროცესები და უნდა ეწეროს ფიზიკური პროცესი, სამიზნე ცნებასთან მატერია სწორად არის განსაზღვრული მისი ზოგადი ქვეცნება - ნივთიერება და კერძო ქვეცნება - ნივთიერების სტრუქტურა და თვისებები, თუმცა აქვე წერია კიდევ ერთი კერძო ქვეცნება - ელექტული ველი, რომელიც არ არის ზოგადი ქვეცნების - ნივთიერების კერძო ქვეცნება (იგი არის ზოგადი ქვეცნების - ველის კერძო ქვეცნება), ამიტომ ან ზოგადი ქვეცნება უნდა წაიშალოს ან კიდევ დაემატოს კერძო ქვეცნების - ელექტრული ველი ზოგადი ქვეცნება, სამიზნე ცნებასთან ძალა ზოგადი ქვეცნება წერია არასწორად - ძალის მოქმედების შედეგები, უნდა ეწეროს - ნიუტონის კანონები - ძალის მოქმედების შედეგები, კერძო ქვეცნება - ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება, რომელიც არ არის ზოგადი ქვეცნების - ნიუტონის კანონები - ძალის მოქმედების შედეგები კერძო ქვეცნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(იგი არის ზოგადი ქვეცნების - ურთიერთქმედების სახეების კერძო ქვეცნება), ამიტომ უნდა გასწორდეს, აქვე არის მითითებული სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე

ბიოლოგიია X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - არ არის სკოლის მიერ მოწოდებული

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს, ვინაიდან აღნიშნულ კლასებში არ არის ჯერ გრიფირებული სახელმძღვანელო და იგი ექნებათ დაახლოებით ერთ თვეში, 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე მას აუცილებლად გაწერენ.

(სკოლას არ მოუწოდებია შესაბამისობის გეგმა და მოწოდებული კურიკულუმებიდან მხოლოდ ფიზიკაში და ქიმიაში არის განსაზღვრული, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, ბიოლოგიაში კი X კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ არის მოწოდებული);

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები(15.09.2023).აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით , ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტაციის, 10-12კლასების კურიკულუმებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შეიძლება ითქვას რომ, საშუალო საფეხურზე მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების საკითხები სწორად არის გააზრებული და შემოთავაზებულია ძირითადი საკითხის ფარგლებში კონტექსტ მაგალითების სახით. დამატებით, მოსწავლეებს ექმნებათ საშუალება განავითარონ პიროვნული ფსიქო-სოციალური უნარები, სკოლის საპროექტო ღონისძიებებში, არაფორმალურ განათლებაში. ინდიკატორი შესაბამისაბაშია.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;.

აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობის შეფასების საფუძველს გვაძლევს თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტების სახით: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები; სასწავლო პროექტები; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები; სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა სკოლის პედაგოგების მზაობის მაღალი ხარისხის სკოლის მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერასთან მიმართებაში. მათ შორის, აღსანიშნავია განმავითარებელი რუბრიკების მაგალითი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4 .შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან,შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებიდან თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით ფასდებიან,თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში,თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის კათედრაზე გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5..**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის შესაბამისად, სკოლის დირექცია, კათედრები მუშაობენ შეფასების სისტების შექმნაზე, ისინი იყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად. სკოლას სჭირდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და როგორც თავად აღნიშნავენ, სამომავლოდ გეგმავენ შეფასების სისტემის ვერაფიკაციის მდგრადი მექანიზმის შექმნას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

6….**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლის დირექტორთან და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძელზე, დგინდება, რომ სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმებით;

ინტერვიუს შედეგებით.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**ასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს, რაც თავის მხრივ, სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფს. შესაბამისობაშია

.2..**სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუები, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისთვის სახელმწიფო ენის კათედრა 2023-2024 წელს გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას, ასევე განმავითარებელი უკუკავშირის კომპონენტის გაძლიერება მიაჩნია მიზანშეწონილად და არაფორმალურ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის აუცილებლობა. ყოველივე ამის გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისობაშია.

3..**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლის საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მათ შორის სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ, რაც მეტყველებს თანამშრომლობით კულტურაზე.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმებით;

საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებით;

ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება საგნობრივი კათედრების ჩართულობით, დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. <u>შესაბამისობაშია</u>

2.**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**
მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3..**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**
სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტის დოკუმენტში, ზოგადად აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციური განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა შედეგების ანალიზს ამ მიმართულებით გამოიყენებს. ასევევ გასაუბრებიდან დადგინდა, რომ პედაგოგები ხედავენ ურთიერთდასწრებების და ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ეხმარება მათ საკუთარ პრაქტიკას დააკვირდნენ, გაანალიზონ და გაითვალისწინონ სამომავლოდ.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმებით;
კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტით;
ინტერვიუს შედეგებით.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**
გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში შეფასება ხორციელდება შეფასების სხვადასხვა ფორმით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი,უკუკავშირი) სკოლა ასევე გეგმავს 2023-2024 წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების დანერგვას._ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**
მასწავლებლებთან გსაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი გამოთქვამენ მზაობას შეფასების დროს გაითვალისწინონ მრავალი კონტექსტი და ფაქტორები, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და მათთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა შეფასებას სკოლა განახორციელებს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, სუსტ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესში გამოვლენილი სიძნელეების დაძლევა, მათი საჭიროებისდა მიხედვით დავალების შესრულებისას ალტერნატიული გზების შეთავაზება. სკოლა გამოთქვამს მზაობას მოახდინოს იმ სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ამ მხრივ კი, მასწავლებლები ხედავენ საჭიროებას განმავითარებელი შეფასების მეტად გამოყენებას პრაქტიკაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**
კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ეფექტური ინსტრუმენტებით. იმედოვნებენ, დიაგნოსტირების ინსტრუმენტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია იქნება მორგებული მათი კათედრის მუშაობასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4..**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სკოლა შეფასებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, უპირატესობას ანიჭებენ ჰოლისტურ მიდგომას, და ითვალისწინებებენ იმ ფაქტორებს, რაც დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებაზე და შედეგზე. მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს.პედაგოგები აცნობიერებენ, რომ ყველა საფეხურზე უნდა მოხდეს კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინება შეფასებისას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმით;
საგნობრივი კურიკულუმით;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდება კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამაშრომლობენ ერთმანეთან კურიკულუმის შემუშავებისა და გადამუშავების ნაწილში, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგემილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება და კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2..**კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუს შემდეგ, გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას და კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მათ აღნიშნეს, რომ გეგმავენ შედეგების ანალიზს, წინარე გამოცდილების, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებას და კურიკულუმის აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით გადამუშავებას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმით;
საგნობრივი კურიკულუმით;
ინტერვიუს შედეგებით.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლიგიის პროექტით.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 11.08.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: